



გალტი & თავართი

მშენიშნის მისაკლამბლტბებს

ნელლეულის ბაზრის ყოველთვიური მიმოხილვა

7 ივნისი 2024

ევა ბოჭორიშვილი

კვლევის დეპარტამენტის უფროსი | evabochorishvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.8036

კახაბერ სამყურაშვილი

სექტორული კვლევის უფროსი | ksamkurashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298

სერგი ყურაშვილი

უფროსი ანალიტიკოსი | s.kurashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.3654



ნედლეულის ფასების დინამიკა

ნედლეული	ფასი	ცვლილება, თვე/თვე*	ცვლილება, 2024 წლის დასაწყისიდან	ფასის ცვლილება 2021 წლის იანვრიდან დღემდე
ამონიუმის ნიტრატი აშშ დოლარი/ტონა	187.5	+2.7%	+4.2%	
ნავთობი (brent) აშშ დოლარი/ბარელი	81.6	-7.1%	+5.9%	
სპილენძი აშშ დოლარი/ტონა	9,913.4	+0.2%	+17.1%	
ფეროსილიკონი (ჩინეთი) აშშ დოლარი/ტონა	1,365.0	+3.8%	+2.2%	
ფეროსილიკონი (ევროპა) აშშ დოლარი/ტონა	1,627.1	+12.9%	+17.6%	
ოქრო აშშ დოლარი/უნცია	2,327.3	+1.8%	+12.8%	
ბუნებრივი აირი აშშ დოლარი/მკვ სთ	38.2	+20.4%	+22.4%	
ხორბალი აშშ დოლარი/ტონა	235.0	+15.8%	-10.4%	

წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: ფასები მოცემულია 2024 წლის 31 მაისის მდგომარეობით

*თ/თ გულისხმობს თვის ბოლო მონაცემების ცვლილებას



ენერჯეტიკა

ნავთობი


2024 წლის მაისში ნავთობის ფასი თვიურად 7.1%-ით შემცირდა და ბარელზე \$81.6 შეადგინა. აპრილი-მაისის გაყიდვები გლობალური ეკონომიკისა და მოთხოვნის სიჭანსალის ეჭვების შედეგი იყო. დამატებით, ისრაელ-ჰამასს შორის მოსალოდნელი ზავი ფასებს დაბლა სწევდა, თუმცა ისრაელის ეროვნული უსაფრთხოების მრჩევლის განცხადებით, ომი, სავარაუდოდ, კიდევ შვიდი თვე გაგრძელდება, რამაც გეოპოლიტიკური რისკები კვლავ მაღალ ნიშნულზე დატოვა. თვის განმავლობაში სხვა მნიშვნელოვანი თემები OPEC+-ის შეხვედრა და ზაფხულის სამომავლო სეზონზე მოთხოვნის დინამიკის განსაზღვრა იყო.

მიწოდების მხარეს, OPEC+-ის წევრებმა პროდუქციის ნებაყოფლობითი შემცირებები 2025 წლის ბოლომდე გაახანგრძლივეს, რაც ბაზრისთვის მეტ-ნაკლებად მოსალოდნელი იყო. თუმცა, გადაწყვეტილების ერთი ნაწილი მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა. კონკრეტულად, 2024 წლის ოქტომბრიდან რიგ წევრებს შეეძლება თანდათანობით გაზარდონ ამჟამინდელი წარმოების ლიმიტები. მიუხედავად იმისა, რომ ეს ზრდა ჯამური შეზღუდვების დაახლოებით მესამედს მოიცავს, მას მაინც შეეძლება მოთხოვნა-მიწოდების დინამიკაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა. შესაბამისად, 3 ივნისის სავაჭრო სესიაზე ნავთობის ფასი 3%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ეს გადაწყვეტილება ოქტომბრამდე შესაძლოა გადაიხედოს და დამოკიდებული იქნება გლობალური ეკონომიკისა და მოთხოვნის დინამიკაზე.


მოთხოვნის მხარეს მოლოდინები დადებითია. აშშ-ში ზაფხულის სამომავლო სეზონი დაიწყო და 25-27 მაისის დღეებში თვითმფრინავებით მოსარგებლე მოგზაურების რაოდენობა ბოლო 20 წლის უმაღლეს ნიშნულზე იყო ავტომობილების ამერიკული ასოციაციის მიხედვით. დამატებით, ავია სანჯავის მოხმარება (4 კვირის საშუალო) უმაღლეს ნიშნულზეა 2019 წლის შემდეგ. ამ ინდუსტრიაში პოზიტიური რიცხვები მოსალოდნელია, რომ მთელი ზაფხულის განმავლობაში გაგრძელდება, თუმცა ნაკლებად პოზიტიურია მოლოდინები ავტომობილების სანჯავის მიმართ. მიუხედავად ამისა, Bloomberg-ის მიხედვით, ფრენების მხარდი რიცხვი გადაფარავს სახმელეთო ტრანსპორტის ნაკლებ მოხმარებას და, სავარაუდოდ, ნავთობის ფასებისათვის ძლიერი საყრდენი იქნება.

გარდა ამისა, აშშ-ს ენერჯეტიკულ სექტორში მსხვილი გარიგებებისა და კონსოლიდაციის ტალღა კვლავ გრძელდება. ბოლო მაგალითი ConocoPhillips-ის მიერ Marathon Oil-ის შეძენაა, რითიც კომპანია კიდევ უფრო გაიმყარებს საკუთარ პოზიციას როგორც ნავთობისა და გაზის მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელი. მსგავსი შესყიდვები გასულ ოქტომბერში დაიწყო, როცა ExxonMobil-მა და Chevron-მა გამოაცხადეს სხვადასხვა მსხვილი გარიგებების შესახებ.

გრაფიკი 1: ნავთობის ფასი (BRNOO), აშშ დოლარი/ბარელი



გრაფიკი 2: ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბენზინის და დიზელის იმპორტის მოცულობა წლიურად 17.5%-ით გაიზარდა 4თვ24-ში და 393 ტონა შეადგინა. იმპორტის საშუალო ფასი ამავე პერიოდში 12.7%-ით გაიზარდა.



ენერჯეტიკა

ბუნებრივი აირი

2024 წლის მაისში ბუნებრივი აირის ფასი თვიურად 20.4%-ით გაიზარდა. ევროპული გაზის (Dutch TTF) ნეტ ყიდვის პოზიციებმა 2022 წლის თებერვლის შემდეგ უმაღლეს ნიშნულს მიაღწია. ენერჯეტიკის დროს გათხევადებული ბუნებრივი აირის (LNG) შესყიდვებით, ევროპის კონტინენტმა შეძლო რუსულ გაზზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლება. მეორეს მხრივ, ახლა მას LNG-სთვის აზიასთან უწევს კონკურენცია.


წინა მიმოხილვებში ვახსენეთ, რომ ენერჯეტიკის მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება გამოცხადდეს დასრულებულად, როცა ცივი ზამთრის დროს ევროპა და აზიაც შეძლებენ საკმარისი მიწოდების მოძიებას. თუმცა, შესაძლოა გლობალური მიწოდების გადანაწილება ცივ თვეებამდე ბევრად ადრე გახდეს საჭირო. ბუნებრივი აირი მნიშვნელოვან როლს ასრულებს გათბობაში, მაგრამ ის ასევე აღსანიშნავი კომპონენტია ცხელ თვეებში გაგრილებაში. წლევანდელი ზაფხული, სავარაუდოდ, რეკორდულად ცხელი იქნება, რაც ბუნებრივი აირის მოთხოვნაშიც აისახება. მაგალითად, ეგვიპტემ, რომელიც როგორც წესი ექსპორტიორია, LNG-ის შესყიდვა დაიწყო რათა ცხელ თვეებში ელექტროენერჯის გათიშვა აირილოს. ასევე მზარდია მოთხოვნა ინდოეთში, რაც აქაც ელექტროენერჯის სექტორისგან მომდინარეობს.

ცხელი ოკეანეები ჩრდილოეთ ამერიკაში ქარიშხლების წარმოშობას უწყობს ხელს, რაც აშშ-ს LNG წარმოებას უქმნის საფრთხეს. დამატებით, გვალვების გამო შესაძლოა ლათინურ ამერიკაში ჰიდრო გენერაცია შემცირდეს და საპირწონედ თერმო გენერაცია გაიზარდოს. Citigroup-ის მიხედვით, ამ ორ კომპონენტს თუ ევროპა-აზიის მნიშვნელოვანი მოთხოვნაც დაემატება, შესაძლებელია ფასები ახლანდელი ნიშნულიდან 50-60%-ით გაიზარდოს.


ფუნდამენტური მიზეზების გარდა, ფასზე გავლენას მოულოდნელი მოვლენებიც ახდენს. ორშაბათს, 3 ივნისს, ევროპული გაზის ფასი რამდენიმე საათში 13%-ით გაიზარდა და მიმდინარე წლის უმაღლეს ნიშნულს მიაღწია. ეს ნახტომი ნორვეგიის ერთ-ერთი გაზ-გადამამუშავებელი ქარხნის გაჩერებას მოჰყვა. ცნობისთვის, 2023 წელს ნორვეგიული ბუნებრივი აირი ევროკავშირის მოხმარების 30%-ს აკმაყოფილებდა.

რუსულმა Gazprom-მა 2023 წლის ფინანსური შედეგები წარადგინა - ზარალი \$6.9 მლრდ, რაც ბოლო 25 წლის ყველზე ცუდი შედეგია. ანალიტიკოსების მიხედვით, ეს რიცხვები კარგად აჩვენებს თუ როგორ ვერ შეძლო ენერჯეტიკის გაგანტმა ევროკავშირის ბაზრის დაკარგვასთან გამკლავება. სანაცვლოდ, რუსეთი ცდილობს ჩინეთთან ეკონომიკური კავშირების გაზრდას და აქტიურად ლობირებს Power of Siberia 2 პროექტს, რაც ორ ქვეყანას გაზსადენით დააკავშირებს. თუმცა, Financial Times-ის მიხედვით, პეკინის საფასო მოთხოვნების გამო გარიგება ნელა მიიწევს წინ, რაც მიუთითებს, რომ ორ ქვეყანას შორის დომინანტი სავარაუდოდ ჩინური მხარეა.

გრაფიკი 3: ბუნებრივი აირის ფასი (ICE Endex Dutch TTF), აშშ დოლარი/მვტ სთ



გრაფიკი 4: ბუნებრივი აირის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბუნებრივი აირის იმპორტის ღირებულება წლიურად 22.3%-ით შემცირდა 4თვ24-ში, რაც დაბალი საიმპორტო ფასის შედეგია, რადგან მოცულობა ბევრად ნაკლებად 7.8%-ით შემცირდა წ/წ.



ძვირფასი ლითონები

ოქრო


2024 წლის მაისში ოქროს ფასი თვიურად 1.8%-ით გაიზარდა. მიუხედავად მცირე ზრდისა, ძვირფასი მეტალი თავის აღმასვლას განაგრძობს და თვის განმავლობაში ახალ რეკორდულ ნიშნულს - \$2,400-საც გადააჭარბა. განგრძობითი ზრდა ინვესტორებს არწმუნებს, რომ მიზეზები ტრადიციულ ფაქტორებზე (რისკებისა და ინფლაციის ჰეჯირება) მეტია. მიუხედავად იმისა, რომ მათ კვლავ მნიშვნელოვანი როლი აქვთ, ამ ეტაპზე, მეტი გავლენა ცენტრალური ბანკებისა და საცალო ინვესტორებიდან მომდინარეობს.

ცენტრალური ბანკების მოთხოვნა კვლავ მაღალია. 2022 წლის მე-3 კვარტლიდან მათმა ჯამურმა შესყიდვებმა 2,200 ტონა შეადგინა, რაც დღევანდელი ფასებით \$170 მლრდ-ს უდრის. ჩინეთის ცენტრალური ბანკი ლიდერობას ინარჩუნებს და უკვე ზედიზედ მეოთხედე თვეა რაც მეტალის შესყიდვას განაგრძობს. შედეგად, მის რეზერვებში ოქროს წილი 2022 წლის 3%-დან 5%-მდე გაიზარდა. რისკების უკეთ აღსაქმელად, ჩინური რეზერვების 1%-ის ღირებულების ოქრო, გლობალური მიწოდების 9%-ს უდრიდა 2023 წელს.

ძვირფასი მეტალი პოპულარულია საცალო მომხმარებლებშიც. ფასების ზრდასთან ერთად, მაღაზიათა ქსელმა Costco-მ ოქროს პატარა ზოდების გაყიდვა დაიწყო - მოხმარებელს შეუძლია სხვადასხვა პროდუქტების ყიდვისას ინვესტიციაც გააკეთოს და ხელს ოქრო გააყოლოს. Wells Fargo-ს მიხედვით, ყოველთვიურად Costco დაახლოებით \$200 მლნ-ს ღირებულების ოქროს ყიდის. მიუხედავად ამისა, დაბალი ლიკვიდურობის გამო ინვესტირების ეს გზა შედარებით ნაკლებად მოთხოვნილია.


აღსანიშნავია, რომ ლეგალური ვაჭრობის გარდა, მზარდია ოქროს შავი ბაზარიც. SwissAid-ის კვლევის მიხედვით, ყოველწლიურად დაახლოებით \$35 მლრდ-ს ღირებულების ოქრო გადის აფრიკიდან არალეგალურად, მათი უმეტესობის დანიშნულების ადგილი კი არაბთა გაერთიანებული საამიროებია. კვლევის მიხედვით, 2022 წელს 435 ტონა აფრიკული ოქრო გაიყიდა შავ ბაზარზე, რაც კონტინენტის მოპოვების 40%, ხოლო გლობალური მიწოდების 12%-ია.

გრაფიკი 5: ოქროს ფასი, აშშ დოლარი/უნცია



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 6: ოქროს ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ოქროს ექსპორტის მოცულობა წლიურად 13.0%-ით შემცირდა 4თვ24-ში. გლობალურად ფასის ზრდამ ექსპორტის საშუალო ფასზეც იმოქმედა, რომელიც წლიურად 14.6%-ით გაიზარდა.

წყარო: საქსტატი



სოფლის მეურნეობა


ამონიუმის ნიტრატი

2024 წლის მაისში ამონიუმის ნიტრატის ფასი თვიურად 2.7%-ით გაიზარდა. რუსეთ-უკრაინის ომის გამო გაზრდილი ფასების შემდეგ ის დალმავალ ტრენდზე იყო. თუმცა, როგორც განვიხილეთ, მისი წარმოების მთავარი კომპონენტის, ბუნებრივი აირის ფასების ზრდაა მოსალოდნელი, რაც ამონიუმის ნიტრატის ფასზეც იქონიებს გავლენას. მოთხოვნის მხარე პოზიტიურად გამოიყურება - ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელი Nutrien ამერიკულ და ბრაზილიურ მოთხოვნაზე დაყრდნობით გაყიდვების ზრდას პროგნოზირებს.

ხორბალი


2024 წლის მაისში ხორბლის ფასი თვიურად 15.8%-ით გაიზარდა. 2022 წლის თებერვლის შემდეგ (რუსეთ-უკრაინის ომის დასაწყისი), ეს უმსხვილესი თვიური ზრდა იყო. რუსეთშიც და უკრაინაშიც, რომლებიც მარცვლეულის მნიშვნელოვანი მიმწოდებლები არიან, ცუდი ამინდების გამო მოსავლის კლებაა მოსალოდნელი. რუსეთის შემთხვევაში მოლოდინები უკვე 10%-ზე მეტით შემცირდა, უკრაინაში კი დეკადის ყველაზე ცოტა მოსავალს ელიან. ხორბლის გლობალური მარაგები, სავარაუდოდ, 9-წლიან მინიმუმამდე დაეცემა, რაც სხვა მსხვილ მწარმოებლებშიც (ავსტრალია და ინდოეთი) პრობლემური სეზონებით იქნება გამოწვეული.

გრაფიკი 7: ამონიუმის ნიტრატის ფასი (შავი ზღვის რეგიონი), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 8: ხორბლის ფასი (Black Sea wheat Financially Settled Futures), აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 9: აზოტოვანი სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



აზოტოვანი სასუქების ექსპორტის ღირებულება წლიურად 35.2%-ით შემცირდა 4თვ24-ში. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის მოცულობა 33.9%-ით არის გაზრდილი, ხოლო საექსპორტო ფასი მნიშვნელოვნადაა შემცირებული (-51.6%).

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 10: ხორბლის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ხორბლის იმპორტის ღირებულება წლიურად 32.4%-ითაა გაზრდილი 4თვ24-ში, ხოლო მოცულობა 72.4%-ით, რაც შემცირებული საშუალო იმპორტის ფასითაა გამოწვეული (-23.2% წ/წ).

წყარო: საქსტატი



ლითონები და მადნები

სპილენძის მადნები და კონცენტრატები

2024 წლის მაისში სპილენძის ფასი თვიურად 0.2%-ით გაიზარდა. გაზაფხულზე მეტალის ფასი 30%-ით გაიზარდა და მაისში რეკორდულ \$11,000-იან ნიშნულსაც გადააჭარბა. საბაზო მეტალების ნეტ ლონგ კოზიციებმა 2.6 მლნ ტონას მიაღწია მასში, იგივე მაჩვენებელი მარტში მხოლოდ 556 ათასი იყო. წითელი მეტალის მნიშვნელოვანი ზრდა მისი მრავალმხრივი გამოყენების შედეგია - ის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მწვანე ენერჯიაში, ელექტრო-მანქანების, სამხედრო აღჭურვილობისა და ელექტრო-ტექნიკის წარმოებაში. ზოგიერთი პროგნოზით სპილენძის ფასი მომდევნო წლებში შეიძლება \$40,000-მდეც გაიზარდოს, შედეგად მის მიმართ ინტერესი არაორდინალური გზებითაც ვლინდება. მაგალითად, სამხრეთ ინგლისში სპილენძის კაბელების ქურდობის შემთხვევები 20%-ით არის გაზრდილი, ტელეკომ კომპანიებმა კი შემოსავლის ახალი წყარო აღმოაჩინეს - დამარხულ სპილენძის კაბელებს მიწიდან იღებენ და მეტალის სახით ყიდიან. დათვლების მიხედვით, ამ კაბელების ღირებულება შესაძლოა \$7 მლრდ-ს აჭარბებდეს.

ფეროსილიკონი


2024 წლის მაისში ევროპული ფეროსილიკონის ფასი თვიურად 12.9%-ით, ხოლო ჩინური 3.8%-ით გაიზარდა. მიუხედავად ზრდისა, ჩინური მოთხოვნა კვლავ მცირეა - ახალი სახლების გაყიდვა მაისში წლიურად 34%-ით შემცირდა. ეს მაჩვენებელი აპრილის 45%-იან კლებაზე დაბალია, თუმცა აჩვენებს რომ კვლავ პრობლემები რჩება სექტორში. ასევე აპრილში შემცირდა გლობალურად ფოლადის წარმოებაც, წლიურად 5%-ით.

გრაფიკი 11: სპილენძის ფასი (LME), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 12: ფეროსილიკონის (75%-იანი სინჯი) ფასი, აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 13: სპილენძის საგარეო ვაჭრობა საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



სპილენძით საგარეო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი რეექსპორტია და გარე ფაქტორებზე დამოკიდებული. 2023 წლის კლების შემდეგ, იმპორტისა და ექსპორტის მოცულობა თითქმის განულებულია 4თვ24-ში.

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 14: ფეროშენადნობების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ფეროშენადნობების ექსპორტის ღირებულება წლიურად 2.4%-ით შემცირდა 4თვ24-ში, მოცულობა კი 14.9%-ით გაიზარდა. ზრდა შესაძლოა ტრენდის შემობრუნების ნიშანი იყოს, თუმცა ჯერ დასკვნის გაკეთება ნაადრევია.

წყარო: საქსტატი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომხმარებელია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაყვლითი ექსპონენცია.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმების, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიმართ. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგობა ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდგომ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდგომ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების, აგენტების ან აგენტების მიერ არ გაყვამულია რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმები ან ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე, მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმებს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გააღვიძოს მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

მთავარი ეკონომისტი
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

ანალიტიკის მთავარი ოფიცერი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

ასოცირებული ანალიტიკოსი
გიორგი ცქიტაშვილი | g.tsikitishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
ზურაბ თავკელიშვილი | ztavkeshvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
სერგი ყურაშვილი | s.kurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
დაჩი მუჯირიშვილი | dmujirishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ოქროპირიძე | maokropiridze@gt.ge

ანალიტიკოსი
ოთარ ცუხიშვილი | otsukhishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge